

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №24

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის - „საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეზაქტივაციის საქმის ორგანიზებისა და განხორციელების წესების“ დამტკიცების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე,

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი - „საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეზაქტივაციის საქმის ორგანიზებისა და განხორციელების წესები“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 18 დეკემბრის №336/ნ ბრძანება „საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეზაქტივაციის საქმის ორგანიზებისა და განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ.“

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის, დეზაქტივაციის საქმის ორგანიზებისა და განხორციელების წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და გამოყენების სფერო

1. წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. საერთაშორისო მიმოსვლის საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებზე (შემდგომში – სატრანსპორტო საშუალებები) დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია და დეზაქტივაცია მიმართულია საკარანტინო (შავი ჭირი, ქოლერა, ყვითელი ცხელება, მწვავე, მძიმე რესპირატორული სინდრომი, ყვავილი), კონტაგიოზური ვირუსულ-ჰემორაგიული ცხელებების, მალარიისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში სხვა ინფექციური დაავადებების: ტილისმიერი ტიფი, პოლიომიელიტი, დიფთერია, ჯილეხი, ტულარემია, ლეპტოსპიროზი, დაუდგენელი ეტიოლოგიის ცხელებითი და პარაზიტული დაავადებების (შემდგომში – დაავადებები) გამომწვევების, სატრანსპორტო საშუალებებში მოხვედრილი მწერებისა და მღრღნელების გასანადგურებლად, დაბინძურებული სატრანსპორტო საშუალებებიდან რადიოაქტიური ნივთიერებების სხვადასხვა ხერხით მოსაცილებლად.

3. სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო და სადეზაქტივაციო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოიყენება მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც ნებადართულია ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ, მეთოდები და აპარატურა, რომლებიც დაშვებულია „საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის, დეზაქტივაციის საქმის ორგანიზებისა და განხორციელების წესებით“ (შემდგომში – სანიტარიული წესები).

4. სატრანსპორტო საშუალებებში სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო და სადეზაქტივაციო



სამუშაოები ტარდება წლის ნებისმიერ დროს.

5. სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეზაქტივაციის ჩატარების დროს აუცილებელია სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის განყოფილების ექიმი-სპეციალისტის დასწრება.

6. სატრანსპორტო საშუალებებზე სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო და სადეზაქტივაციო სამუშაოებს ატარებენ სპეციალური მომზადების მქონე სპეციალისტები.

7. სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო და სადეზაქტივაციო სამუშაოების ჩასატარებლად მომზადებული სპეციალისტები ექვემდებარებიან წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას.

8. სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს ინსტრუქციის მიხედვით.

9. სატრანსპორტო საშუალებების სადეზაქტივაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულების მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის, ასევე, რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

10. სადეზაქტივაციო სამუშაოების მოცულობა, ხასიათი დამოკიდებულია რადიოაქტიური დაბინძურების მასშტაბზე. ბირთვული იარაღის გამოყენებისა და ატომური წარმოების ობიექტებზე მომხდარი ავარიის დროს რადიოაქტიური დაბინძურება დიდი მასშტაბისაა. ლოკალური დაბინძურების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება განვითარდეს რადიოაქტიური ნივთიერების სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში გამოყენების ყველა ეტაპზე, მათ შორის, მათი ტრანსპორტირებისას, სადეზაქტივაციო სამუშაოების მოცულობა მცირეა და მიმართულია უშუალოდ იმ ობიექტის გასუფთავებისაკენ, რომელმაც დაბინძურება განიცადა.

11. დეზაქტივაციის მეთოდებია:

ა) მექანიკური – ჩამობერტყვა, ჩამოფხვკვა, ცოცხით გასუფთავება, მტვერსასრუტით მტვრის გაწმენდა, წყლით ჩამორეცხვა და სხვ.;

ბ) ფიზიკური – განზავება, დალექვა, გადადენა, აორთქლება, დაყოვნება ნახევარდაშლის პერიოდის გათვალისწინებით (10 ნახევარდაშლის პერიოდი პრაქტიკულად ითვლება სრული დეზაქტივაციის ვადად) და სხვ.

გ) ქიმიური – სხვადასხვა სახის ქიმიური ნაერთის (ტუტეების, მჟავების, მარილების), საპნების, ხსნარების, კომპლექსწარმომქმნელი ნაერთებისა და სხვ. გამოყენება. ეს ხსნარები ისე უნდა შეირჩეს, რომ მასში გაიხსნას რადიოაქტიური ნივთიერება და შემდგომში აღარ მოხდეს ამ ხსნარებში რადიონუკლიდების გამოლექვა;

დ) ბიოლოგიური – დამყარებულია სხვადასხვა მიკროორგანიზმის (ბაქტერიების, პლანქტონების), ჰიდრობიონტებისა და ლამის მიერ რადიონუკლიდების შთანთქმვაზე.;

ე) კომბინირებული – აღნიშნული მეთოდების კომბინაცია.

12. სადეზაქტივაციო საშუალებები არის მარტივი და რთული. მარტივი სადეზაქტივაციო საშუალება ერთი რომელიმე კომპონენტისგან შედგება (ტუტე, მჟავა, საპონი, ანიონიტი, კათიონიტი, კომპლექსწარმომქმნელი ნაერთი და სხვ.). რთულ ნაერთებს მიეკუთვნება სინთეზური სარეცხი საშუალებები, პასტები და სხვ.

13. სადეზაქტივაციო საშუალებები უფრო ხშირად გამოიყენება ხსნარების სახით, თუმცა შეიძლება მშრალიც იყოს. ამ შემთხვევაში გამოიყენება აკვის წარმომქმნელი ნივთიერება – პოლივინილაცეტატური ემულსია.

14. დეზაქტივაციის ეფექტურობის განმსაზღვრელია მისი დაწყების დრო: რაც უფრო ნაადრევადაა დაწყებული, მით ეფექტურია, ვინაიდან, დაყოვნების პირობებში დიფუზიის, ადსორბციის, აბსორბციის, იონგამცვლელი რეაქციების, ბიოლოგიური პროცესებისა და სხვათა გამო ზედაპირული დაბინძურება შეიძლება გადავიდეს სივრცობრივში, ხოლო ეს უკანასკნელი – სტრუქტურულში.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები



1. აეროპორტი, პორტი, რკინიგზის სადგური, ავტოსადგური – აეროპორტი, საზღვაო, სამდინარო ნავსადგურები, რკინიგზისა და საავტომობილო სადგურები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საერთაშორისო გადაზიდვებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების მისაღებად და გასამგზავრებლად და სადაც ხორციელდება სასაზღვრო, საბაჟო, სამედიცინო (სანიტარიული), ვეტერინარული, ფიტოლოგიური და სხვა ანალოგიური პროცედურები და ემიგრაციული კონტროლი.

2. ალფა გამოსხივება (d გამოსხივება) – ალფა ნაწილაკებისაგან (ჰელიუმის ბირთვები) შემდგარი მაიონებული გამოსხივება, რომელიც წარმოიქმნება ბირთვული გარდაქმნების შედეგად. ნაწილაკები დადებითადაა დამუხტული.

3. აქტივობა – რადიოაქტივობის საზომი ძირითადი ფიზიკური სიდიდე. განსაზღვრულ ენერგეტიკულ მდგომარეობაში მყოფი რადიონუკლიდების განსაზღვრული რაოდენობისათვის მოცემული დროის მომენტში აქტივობა A გამოიხატება შემდეგი სახით:

dN

$A = \dots$, სადაც

dt

dN – მოცემული ენერგეტიკული დონის მქონე სპონტანური ბირთვული გარდაქმნების მოსალოდნელი რიცხვია დროის dt ინტერვალში. Si-სისტემაში აქტივობის საზომი ერთეულია ბეკერელი (ბკ) – 1 ბირთვული გარდაქმნა 1 წამში.

4. აქტივობა ხვედრითი (მოცულობითი) – რადიოაქტიური ნივთიერების აქტივობა, გამოსახული წონით (მოცულობით) ერთეულებში (ბკ/კგ ან ბკ/ლ შესაბამისად).

5. ბეტა გამოსხივება (β გამოსხივება) – ელექტრონული (β^-) ან პოზიტრონული (β^+) კორპუსკულური მაიონებული გამოსხივება უწყვეტი ენერგეტიკული სპექტრით, რომელიც წარმოიქმნება ბირთვული გარდაქმნების შედეგად.

6. დაბინძურება ზედაპირული არაფიქსირებული (მოცილებადი) – რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც კონტაქტისას გადაიტანება სხვა საგნებზე და სცილდება დეზაქტივაციის დროს.

7. დაბინძურება ზედაპირული ფიქსირებული (არამოცილებადი) – რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც კონტაქტის დროს არ გადაიტანება სხვა საგნებზე და არ სცილდება დეზაქტივაციის დროს.

8. დაბინძურება რადიოაქტიური – რადიოაქტიური ნივთიერების (ან ნივთიერებების) არსებობა ნივთიერებაში (მასალაში), მის ზედაპირზე ან ისეთ ადგილზე, სადაც მისი არსებობა სასურველი არ არის ისეთი რაოდენობებით, რომლებიც აღემატება ნორმატიული დოკუმენტებით რეგლამენტირებულ მნიშვნელობებს. რადიოაქტიური დაბინძურება არის ზედაპირული, მოცულობითი, სივრცობრივი და სტრუქტურული. ზედაპირული დაბინძურების დროს რადიოაქტიური ნივთიერება ობიექტის ზედაპირზეა განლაგებული (მაგალითად, დედამიწის, ამა თუ იმ საგნის ზედაპირის, კანის ზედაპირის დაბინძურება). სივრცობრივი დაბინძურებისას რადიონუკლიდი ამა თუ იმ ობიექტის (ნივთიერების) მოცულობაშია განაწილებული (მაგალითად, ატმოსფეროს ან შენობის ჰაერის დაბინძურება, თხევადი ან მყარი საკვების – რძის, ფქვილის, ხორბლეულის, წყლის დაბინძურება). აღნიშნულთაგან განსხვავებით, სადაც დაბინძურება მექანიკური ხასიათისაა, სტრუქტურული დაბინძურებისას რადიონუკლიდი დაბინძურებული საგნის (ნივთიერების) ორგანული შემადგენელი ნაწილია (მაგალითად, ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში ინკორპორირებული რადიონუკლიდი, რომელიც ჩაირთვება უჯრედებში და მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში ან ნიადაგში მეორადად წარმოქმნილი რადიონუკლიდები, რომლებიც მისი ნეიტრონული დასხივების შემდეგ წარმოიქმნიებიან (ე.წ. ინდუცირებული რადიოაქტივობა).

9. გამა გამოსხივება (γ -გამოსხივება) – ფოტონური, ელექტრომაგნიტური მაიონებული გამოსხივება, რომელიც წარმოიქმნება ბირთვული გარდაქმნების შედეგად ბირთვში დაგროვილი ჭარბი ენერჯის გამოსხივებით ან ნაწილაკების ანიჰილაციით.

10. გამოსხივება მაიონებული – გამოსხივება, რომელიც ნივთიერებასთან ურთიერთქმედებისას მასში წარმოიქმნის იონებს.



11. დაავადებაზე ექვმიტანილი პირი – პირი, რომელიც სანიტარიულ-საკარანტინო სამსახურის მედპერსონალის დასკვნით შესაძლებელია იყოს ინფიცირებული რომელიმე დაავადებით და ითვლებოდეს აღნიშნული დაავადების გამავრცელებლად.
12. დაავადების გადამტანი – ფეხსახსრიანები, რომელთაც გადააქვთ ინფექციის გამომწვევი დაავადებული ან ბაქტერიამატარებელი ორგანიზმიდან ჯანმრთელ ორგანიზმში.
13. დაავადებული პირი – პირი, რომელიც დაავადებულია რომელიმე დაავადებით ან როგორც შემდგომში აღმოჩნდება, იმყოფება ინკუბაციურ პერიოდში.
14. დასხივება – ადამიანზე მაიონებელი გამოსხივების მოქმედება, რომელიც განპირობებულია გარეგანი წყაროთი, ან შინაგანი წყაროებიდან, რომლებიც მოხვდნენ ორგანიზმის შიგნით.
15. დაშლა რადიოაქტიური – არასტაბილური ატომებისაგან შემდგარი ნივთიერების გარდაქმნა შედარებით უფრო სტაბილურ ფორმად, რომელსაც თან სდევს მაიონებელი გამოსხივება აღნიშნული ნივთიერებების ატომებისაგან.
16. დეზაქტივაცია – რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება რაიმე ზედაპირიდან ან რაიმე გარემოდან, ადამიანის ორგანიზმის ჩათვლით.
17. დეზაქტივაცია ნაწილობრივი – ტარდება რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული ნებისმიერი ზედაპირის რადიოაქტივობის შესამცირებლად, პირველ რიგში კი ისეთების, რომლებთანაც ადამიანებს უფრო ხშირი კონტაქტი აქვთ. იგი ტარდება ძირითადად ისეთ პირობებში, როდესაც შეზღუდულია დრო ან სადეზაქტივაციო საშუალებები.
18. დეზაქტივაცია სრული – რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება დაბინძურებული ზედაპირიდან რეგულირებიდან ამოღების დონის ან მასზე დაბალი მნიშვნელობის მიღწევით.
19. დეზინსექცია – ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს ეპიდემიოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მნიშვნელობის ფეხსახსრიანთა განადგურებას გემებზე, თვითმფრინავებში, მატარებლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, კონტეინერებში, სახელმწიფო საზღვრების გამტარ პუნქტებზე – პორტებში, რკინიგზისა და საავტომობილო სადგურებში, აგრეთვე დაავადებათა კერებში.
20. დერატიზაცია – ღონისძიება, რომელიც მიმართულია ეპიდემიოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მნიშვნელობის მღრღნელების გასანადგურებლად გემებზე, თვითმფრინავებში, მატარებლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, კონტეინერებში, პორტებში, რკინიგზისა და საავტომობილო სადგურებში, აგრეთვე დაავადებათა კერებში.
21. დეზინფექცია – ღონისძიება მიმართული უმრავლესი პათოგენური მიკროორგანიზმების გასანადგურებლად, ფიზიკურ და ქიმიურ აგენტებთან უშუალო ექსპოზიციით.
22. დეზინფექტორი – პირი, რომელიც ახორციელებს სადეზინფექციო სამუშაოებს.
23. დეზინსექტორი – პირი, რომელიც ახორციელებს სადეზინსექციო სამუშაოებს.
24. დერატიზატორი – პირი, რომელიც ახორციელებს სადერატიზაციო სამუშაოებს.
25. ზღვრული დოზა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასხივების დოზების ზღვრული მნიშვნელობები.
26. რადიაციული კონტროლი – შესაბამისი უფლებამოსილებით მხარდაჭერილი ქმედება მიმართული რადიაციული სიტუაციის სამართავად, რეგულაციის და შეზღუდვების განსახორციელებლად რადიაციული უსაფრთხოების სასურველი დონის მისაღწევად.
27. რადიონუკლიდის ნახევარდაშლის პერიოდი – T_{1/2} (ფიზიკური ნახევარდაშლის პერიოდი) – რადიონუკლიდის მახასიათებელი – დრო, რომლის განმავლობაშიც მოცემული რადიონუკლიდის რაოდენობა ბირთვული გარდაქმნის შედეგად ნახევარდება.
28. რადიონუკლიდი – რადიოაქტიური ატომები მოცემული მასური რიცხვითა და ატომური ნომრით, ხოლო იზომერული ატომებისათვის – ატომის ბირთვის ენერგეტიკული მდგომარეობითაც.



29. საერთაშორისო რეისი – გადაყვანა-გადაზიდვა ორ ან მეტ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ აეროპორტებს, პორტებს, რკინიგზებსა და ავტოსადგურებს შორის, ან რეისი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ აეროპორტებს, პორტებს, რკინიგზებსა და ავტოსადგურებს შორის, თუკი ასეთი რეისის დროს სატრანსპორტო საშუალებას ურთიერთობა აქვს სხვა რომელიმე სახელმწიფოს პორტთან, აეროპორტთან ან სადგურთან.
30. საკარანტინო დაავადებები – ინფექციურ დაავადებათა ჯგუფი (შავი ჭირი, ქოლერა, ყვითელი ცხელება), რომელთა წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები რეგლამენტირებულია საერთაშორისო მედიკო-სანიტარიული წესებით.
31. სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი – სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სპეციალიზებული სახეობა, რომელიც ხორციელდება ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე, საბაჟო ზონებსა და ტვირთების განბაჟების სხვა ადგილებში, საერთაშორისო მედიკო-სანიტარიული წესების, საერთაშორისო კონვენციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყანაში საკარანტინო და სხვა საშიშ ინფექციურ დაავადებათა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ტვირთების შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით.
32. სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის სამმართველო (განყოფილება) – საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოსაგზაო და სარკინიგზო გადასასვლელებზე სახელმწიფო საზღვრის გამტარი პუნქტების ტერიტორიაზე არსებული სამსახური, რომელიც ახორციელებს სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს.
33. სატრანსპორტო საშუალება – ორ ან მეტ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ აეროპორტებს, პორტებს, რკინიგზებსა და ავტოსადგურებს შორის მგზავრების გადასაცვანად და ტვირთების გადასატანად გამოყენებული მოძრავი სატრანსპორტო ერთეული – საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საბაგრო, სამდინარო, სპეციალური ტრანსპორტი.
34. საშუალებები ინდივიდუალური დამცველი – პერსონალის, რადიაციული ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მივლინებულ პირთა, სადენაქტივაციო სამუშაოებში ჩართულ პირთა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის ორგანიზმში რადიოაქტიური ნივთიერებების მოხვედრის და კანის საფარველის რადიოაქტიური დაზინძურებისაგან დაცვის ტექნიკური საშუალებები.
35. სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟი – გემზე, თვითმფრინავზე, მატარებელსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მყოფი მომსახურე პერსონალი (ეკიპაჟი, ბრიგადა).
36. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოცემულ პერიოდში ფლობს სატრანსპორტო საშუალებას.
37. რადიაციული უსაფრთხოება – ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან. რადიაციული უსაფრთხოება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და მისი უზრუნველყოფა ხდება სამართლებრივი, ორგანიზაციული, საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სამედიცინო, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებების კომპლექსით.
38. წყარო გამოსხივების ბუნებრივი – ბუნებრივი წარმოშობის გამოსხივების წყაროები (მათ შორის კოსმოსური გამოსხივება, მიწიერი გამოსხივების წყაროები: ნიადაგი, ატმოსფერო, წყალი, ცხოველები, მცენარეები და სხვ.).
39. წყარო გამოსხივების ტექნოგენური – მაიონებელი გამოსხივების წყარო, რომელიც შექმნილია ამ გამოსხივების სასარგებლო გამოყენებისთვის ან წარმოადგენს ტექნიკური მოღვაწეობის მეორად პროდუქტს.
40. წყარო დახურული – მაიონებელი გამოსხივების წყარო, რომლის მოწყობილობა გამორიცხავს მასში არსებული რადიონუკლიდების გავრცელებას გარემოში მისი გამოყენებისა და ცვეთის იმ პირობებში, რომელზედაც არის გათვლილი.
41. წყარო რადიონუკლიდური – მაიონებელი გამოსხივების წყარო, რომელიც შეიცავს რადიონუკლიდს ან რადიონუკლიდთა ნარევს.
42. წყარო ღია – რადიონუკლიდური წყარო, რომლის გამოყენების დროს შესაძლებელია მასში მოთავსებული რადიონუკლიდების გავრცელება გარემოში.



მუხლი 3. დეზინფექცია

1. სატრანსპორტო საშუალებებზე ტარდება დეზინფექცია პროფილაქტიკური და ეპიდემიოლოგიური ჩვენებით.
2. სატრანსპორტო საშუალებებზე სადეზინფექციო ღონისძიებები ხორციელდება ინსპექციის სანიტარიულ-საკარანტინო განყოფილების ექიმ-ინსპექტორის გადაწყვეტილებით.
3. სატრანსპორტო საშუალებებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისას საჭიროა პირობების დაცვა, რათა არ მოხდეს სადეზინფექციო ხსნარების ნაპრალებში, კონსტრუქციის ნაკერებსა და გადაბმის ადგილებში გაჟონვა, სადეზინფექციო საშუალებების დაღვრა იატაკსა და იატაკის ქვედა სივრცეებში. სადეზინფექციო ხსნარის ჭურჭლიდან სითხის იატაკზე დაქცევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ჭურჭლის სპეციალური დასადგამები.
4. სატრანსპორტო საშუალებებში სადეზინფექციო ხსნარების იატაკის ქვედა სივრცეებში ან სხვა დახურულ ადგილებში ჩაღვრისას დაუყოვნებლივ უნდა აიხსნას იატაკები, პანელები, ლუქები და მიღებულ იქნეს ზომები სადეზინფექციო სითხის მოსაცილებლად.
5. იმ შემთხვევაში, როცა აღინიშნება გალაქული ზედაპირების ნაწილების დაზიანება, მათ აღსადგენად ჩატარებულ უნდა იქნეს სამუშაოები არსებული მეთოდების გამოყენებით.
6. სადეზინფექციო სამუშაოების შესრულების შესახებ აღნიშვნა უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიულ ჟურნალში დამუშავების თარიღის, გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებებისა და კონსტრუქციების დამუშავებული ნაწილების ჩამონათვალის ჩვენებით; ასევე იმ პირების თანამდებობისა და გვარების მითითებით, რომლებიც ატარებენ აღნიშნულ დამუშავებას.

მუხლი 4. პროფილაქტიკური დეზინფექცია

1. პროფილაქტიკური დეზინფექცია მიმართულია გამოუვლინებელი წყაროებიდან (ავადმყოფები და ბაცილამატარებლები) ნაწლავური და ჰაერწვეთოვანი ინფექციების გამომწვევების გავრცელების აღსაკვეთად.
2. სატრანსპორტო საშუალებებში პროფილაქტიკური დეზინფექცია ტარდება დალაგების წინ, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვით.
3. საჰაერო ხომალდების სანიტარიულ კვანძებს პროფილაქტიკური დეზინფექცია უტარდებათ საბოლოო ან საბაზო აეროპორტებში ჩამოფრენისას ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა აეროპორტებში.
4. საჰაერო ხომალდების სანიტარიული კვანძის პროფილაქტიკური დეზინფექცია ხორციელდება შემდეგი წესით:
 - ა) საპირფარეოს დაცარიელებული ავზი ივსება სადეზინფექციო ხსნარით 2/3-ის მოცულობით;
 - ბ) კედლები იწმინდება სადეზინფექციო ხსნარში ზომიერად დასველებული ჩვრით, ან გამოიყენება სპეციალური ხელით სასხურებლები. კედლები დამუშავების შემდეგ იწმინდება მშრალი ჩვრით;
 - გ) საპირფარეოს ნიჟარები, რეზინის საფენები, იატაკები მუშავდება რეკომენდებული სადეზინფექციო ხსნარებით. დეზინფექციის დამთავრების შემდეგ ზედაპირი იწმინდება მშრალი ჩვრით;
 - დ) ხელსაბანი ნიჟარები ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით.
5. ჟანგბადის ნიღბები და სალაპარაკო მოწყობილობები იწმინდება ცხელი საპნიანი ხსნარით რეგლამენტის შესაბამისად.
6. თვითმფრინავების ბორტზე არსებული ჭურჭელი გროვდება კონტეინერებში და იგზავნება ბორტის კვების სააქროში, სადაც მათ ამუშავებენ საზოგადოებრივი კვების წარმოებისათვის შესაბამისი სანიტარიული წესების დაცვით.
7. გემებზე სასმელი წყლის რეზერვუარების დეზინფექცია ხორციელდება შემდეგი წესით:



ა) ნაპირიდან წყლის ასაღები მილები უნდა ინახებოდეს მისთვის გამოყოფილ ადგილზე და უნდა გამოიყენებოდეს მკაცრად განსაზღვრული მიზნით;

ბ) მილების მდგომარეობა მოწმდება ყოველი გამოყენების წინ;

გ) მილების დაბინძურების შემთხვევაში ტარდება დეზინფექცია რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით. დეზინფექციის შემდეგ მილები ირეცხება გამდინარე სუფთა წყლით.

8. სანიტარიული თვალსაზრისით საშიში ტვირთის (ცხოველები, ფრინველები, ტყავი, ბეწვი, ჯაგარი, ძვალი და სხვა) გადატანის შემთხვევაში საბარგო ვაგონების, ტრიუმებისა და სხვა სათავსების დეზინფექცია ხორციელდება გადმოტვირთვის შემდეგ დიდი რაოდენობით სადეზინფექციო საშუალებების მოსხურებით, დეზინფექციის შემდეგ ნარჩენების გატანითა და სველი წესით დალაგებით.

მუხლი 5. დეზინფექცია ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით

1. დეზინფექცია ეპიდემიოლოგიური ჩვენების მიხედვით ტარდება სატრანსპორტო საშუალებაზე ინფექციური ავადმყოფის ან დაავადებაზე საეჭვო პირის (ქოლერა, შავი ჭირი, ჰემორაგიული ცხელებები, ტილისმიერი შებრუნებითი ტიფი, პარატიფი, დიზენტერია, დიფთერია და სხვა) გამოვლენის შემთხვევაში.

2. დეზინფექცია ტარდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებიდან მგზავრების ჩამოსვლის შემდეგ.

3. საერთაშორისო რეისის სატრანსპორტო საშუალებაზე დეზინფექცია ტარდება აეროპორტის სანიტარიულ-საკარანტინო განყოფილების ექიმი-სპეციალისტის მითითებით.

4. დეზინფექციას ატარებს დეზინფექტორი, სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის განყოფილების ექიმი-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

5. სატრანსპორტო საშუალებებზე (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) სადეზინფექციო სამუშაოების მოცულობასა და თანამიმდევრობას განსაზღვრავს სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის განყოფილების ექიმი-სპეციალისტი.

6. საჰაერო ხომალდებზე დეზინფექციას ატარებენ შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ტრაპის ქვედა საფეხურზე იდება სქელი პარალონის საფენი, რომლის ზემოდანაც თავსდება სადეზინფექციო ხსნარით გაჟღენთილი ტილო. ტრაპის სახელურები იწმინდება სადეზინფექციო ხსნარით დასველებული ტილოთი;

ბ) ავადმყოფის პირადი ნივთები გროვდება ბრეზენტის ტომარაში, ილუქება, გარედან ტომარას ესხურება 5%-იანი ფენოლინის ხსნარით და იგზავნება კამერული დეზინფექციის ჩასატარებლად;

გ) იმ მგზავრების პირადი ნივთები, რომლებიც გაბინძურდა ავადმყოფის გამონაყოფით (გამონადენით), თავსდება ინდივიდუალურ ბრეზენტის ტომარაში, ილუქება, გარედან ესხურება ფენოლინის 5%-იანი ხსნარით და იგზავნება კამერული დეზინფექციის ჩასატარებლად;

დ) საჰაერო ხომალდის კუთვნილი დაბინძურებული რბილი ინვენტარი (ფარდაგები, შალითები, ფარდები, პირსახოცები და სხვა) გროვდება ბრეზენტის ტომარაში, ილუქება, ინამება 5%-იანი ფენოლინის ხსნარით და იგზავნება კამერული დეზინფექციის ჩასატარებლად;

ე) პირნალები მასა გროვდება თავსახურიან სათლში (ვედროში), გამოაქვთ საჰაერო ხომალდიდან და ემატება ქლორიანი კირი ანგარიშით: 2 ნაწილი ქლორის ფხვნილი და 5 ნაწილი სადეზინფექციო მასა, გულდასმით აირევა და ტოვებენ 30 წუთით, რომლის შემდეგაც აღნიშნული გადაიღვრება საკანალიზაციო ქსელში;

ვ) ნარჩენები გროვდება თავსახურიან სათლში, უკეთდება ისეთივე დეზინფექცია, როგორც პირნალებ მასას ან იწვება;

ზ) სამგზავრო სალონსა და საბარგულის ნაწილში შიდა ზედაპირის სადეზინფექციო დამუშავება ტარდება სამჯერადად სადეზინფექციო ხსნარით გაჟღენთილი ტილოთი. სადეზინფექციო ხსნარით ყოველი დამუშავების შემდეგ ზედაპირი იწმინდება მშრალი ტილოთი;



თ) დეზინფექციის ჩატარების წინ საბარგული თავისუფლდება ბარგისაგან და ბარგის თითოეული ადგილი იწმინდება სადეზინფექციო ხსნარით გაჟღენთილი ტილოთი ან ასხურებენ სპეციალური საფრქვევით;

ო) თვითმფრინავის ბორტზე არსებული ჭურჭელი გროვდება კონტეინერებში და იგზავნება საბორტო კვების საამქროში, სადაც გასაუვნებელყოფად თავსდება რეკომენდებულ სადეზინფექციო ხსნარში 30 წუთამდე.

7. ეკიპაჟის კაბინაში დეზინფექცია ტარდება ეკიპაჟის წევრების ინფექციური დაავადების შემთხვევაში ან ეკიპაჟის წევრების ინფექციით დაავადებულთან ან დაავადებაზე ექვმიტანილთან კონტაქტისას.

8. ეკიპაჟის კაბინის დეზინფექციისას, შიდა ზედაპირი და მოწყობილობა იწმინდება სამჯერადად, სადეზინფექციო ხსნარით გაჟღენთილი ტილოთი. ყოველი ასეთი გაწმენდის შემდეგ ზედაპირი მშრალდება მშრალი ჩვრით.

9. ეკიპაჟის კაბინის დეზინფექციისას ყველა სამუშაო ტარდება აეროპორტის ტექნიკური მომსახურების საამქროს წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ.

10. საჰაერო ხომალდის დეზინფექციის ჩატარების შემდეგ მის სათავსებს ანიავებენ შესაბამისი წესის დაცვით მშრალი, თბილი ჰაერის ნაკადით.

11. დეზინფექციის დროს გამოყენებული ტილოები თავსდება სადეზინფექციო ხსნარიან ავზში 30 წთ-ით, შემდეგ ირეცხება ცხელი წყლით სარეცხი საშუალების გამოყენებით ან იწვება.

12. დეზინფექციის დამთავრების შემდეგ თვითმფრინავის ტრაპსა და მის სახელურებს განმეორებით უტარდება დეზინფექცია.

13. დეზინფექცია საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებში ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლის მიხედვით ტარდება ანალოგიურად.

მუხლი 6. დეზინსექცია

1. სატრანსპორტო საშუალებებზე დაავადების გადამტანი პარაზიტებისა და მწერების არსებობა მიუთითებს მათ ეპიდემიოლოგიურ და სანიტარიულ არაკეთილსაიმედობაზე.

2. დეზინსექციის ჩატარების აუცილებლობას სატრანსპორტო საშუალებებზე ადგენს სანიტარიულ-საკარანტინო განყოფილების ექიმი-სპეციალისტი სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას ან სატრანსპორტო საშუალების მფლობელების დაკვეთით.

3. დეზინსექციის ჩატარების ჩვენებად ითვლება სატრანსპორტო საშუალებებში პარაზიტებისა და საყოფაცხოვრებო მწერების ნებისმიერი რაოდენობით აღმოჩენა.

4. სადეზინსექციო სამუშაოები სატრანსპორტო საშუალებებზე ხორციელდება პორტში, აეროპორტში, რეიდზე და შეკეთებისას.

5. სატრანსპორტო საშუალებების დამუშავება ხდება სადეზინსექციო ხსნარების შესხურებით, შეფრქვევითა და სატყუარას დადებით.

6. არაეფექტურად ჩატარებული დეზინსექციის შემდეგ აუცილებელია განმეორებითი დეზინსექცია.

7. სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინსექციას ატარებენ მგზავრებისა და ეკიპაჟის ჩასხდომის წინ, ხოლო გემებზე დეზინსექციის ჩატარება ასევე აუცილებელია მისი შეკეთების ან ზამთრის დგომის შემდეგ, ავეჯისა და საწოლების დაშლით. დეზინსექციის ჩატარების პერიოდში დროებით გამოირთვება სატრანსპორტო საშუალების ელექტრომომარაგება.

8. მფრინავი მწერების აღმოჩენისას სატრანსპორტო საშუალებებში (ბუზი, კოლო, ქინქლა) გამოიყენება ინსექტიციდური პრეპარატები აეროზოლურ ბალონებში, რომელთა გამოყენება ნებადართულია ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9. სატრანსპორტო საშუალებებში დეზინსექციას მფრინავი მწერების საწინააღმდეგოდ ახორციელებენ შემდეგი თანმიმდევრობით:



ა) დამუშავებას იწყებენ სალონის სიგრძივი მიმართულებით (საჭიროების შემთხვევაში რამდენჯერმე). დეზინფექტორს მოჰყავს მოქმედებაში აეროზოლის ბალონი და აფრქვევს ჰაერში აეროზოლის ნაკადს, რომელიც უნდა იყოს დაშორებული კედლიდან არანაკლებ 1მ-ით დამუშავების შემდეგ დეზინფექტორი გამოდის საჰაერო ხომალდიდან და მჭიდროდ ხურავს კარებს. 15 წუთის შემდეგ კარები იღება და ხდება სატრანსპორტო საშუალების შიდა სივრცის განთავსება აეროზოლის სუნის გაქრობამდე.

10. სატრანსპორტო საშუალებაზე პარტახტიანი ტიფით დაავადებულის ან მასზე საექმო პირის არსებობისას სავარძლები, თეთრეული, რბილი ინვენტარი (შალითები, ფარდები, პირსახოცები) გროვდება ბრეზენტის ტომარაში და იგზავნება სადეზინფექციო კამერაში დეზინსექციის ჩასატარებლად.

11. რწყილების, ტარაკნებისა და თეთრეულის ბაღლინჯოების გამოვლენა ხდება საბოლოო და საბაზო აეროპორტებში, ნავსადგურებსა და სადგურებში დასუფთავება-დალაგების დროს, ასევე ეკიპაჟის წევრებისა და ბორტგამცილებლების გამოკითხვის საფუძველზე. დათვალიერება-შემოწმებისას ითვალისწინებენ თეთრეულის ბაღლინჯოების დაბუდების სავარაუდო ადგილებს – ნაკერები და სავარძლის გადასაკრავები, მოპირკეთებული კედლების ნაპრალები და გარდერობის მოწყობილობები, ტარაკნებისათვის კი – სხვადასხვა ბნელი თავშესაფრები, მათ შორის, კედლის მოპირკეთების ნაპრალები, სამზარეულო-საბუფეტე სათავსები, ეკიპაჟის კაბინა. კაპიტალურ რემონტზე მყოფი საჰაერო ხომალდების დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს სალონის შიდა მოპირკეთებას.

12. რწყილების, ტარაკნებისა და თეთრეულის ბაღლინჯოების აღმოჩენისას დეზინფექციას ატარებენ რეკომენდებული სადეზინსექციო საშუალებების გამოყენებით, რომლითაც გულდასმით მუშავდება ის ადგილები, სადაც ყველაზე მეტად ბუდობენ მწერები. ასევე მუშავდება იატაკი, ხალიჩები, სავარძლები. 1-2 საათის შემდეგ განადგურებულ მწერებს იღებენ მტვერსასრუტით, ასხამენ მდულარეს ან წვავენ.

13. სატრანსპორტო საშუალებებზე დეზინსექციის ჩატარების შემდეგ უნდა შედგეს დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება ინსექტიციდის სახე, სათავსების დასახელება, დახარჯული პრეპარატის რაოდენობა და საკონტროლო დათვალიერების შედეგი.

მუხლი 7. დერატიზაცია

1. დერატიზაციის ორგანიზება ხორციელდება პროფილაქტიკური და გამანადგურებელი ღონისძიებებით:

ა) სატრანსპორტო საშუალებებზე მღრღნელების შეღწევის აღკვეთა სანიტარიულ-ტექნიკური და სამშენებლო ღონისძიებების გატარებით;

ბ) მღრღნელების აღმოჩენის შემთხვევაში მათი განადგურებით ქიმიური და ფიზიკური საშუალებებით.

2. სატრანსპორტო საშუალებებში მღრღნელების რიცხვის შემცირების ღონისძიებების შერჩევასა და ობიექტების მღრღნელებისაგან დასაცავი სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების რეკომენდაციის გაცემის მიზნით, სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება მღრღნელების რაოდენობის, მათი საცხოვრებლის, სახეობის დადგენა.

3. სატრანსპორტო საშუალებებში მიგრაციული მღრღნელების რაოდენობის შემცირების მიზნით პროფილაქტიკური გამანადგურებელი ღონისძიებების გატარება.

4. მღრღნელების შემცირების მიზნით სადერატიზაციო ღონისძიებების ჩატარება სატრანსპორტო საშუალების მთელ ფართობზე.

5. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარების ხარისხის კონტროლი ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების უფროსის მიერ სპეციალისტებისგან შედგენილი ბრიგადით ან მოწვეული ექსპერტების მიერ.

6. სატრანსპორტო საშუალებაზე დერატიზაცია ტარდება სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო სამსახურის მოთხოვნით.

7. სატრანსპორტო საშუალებაზე დერატიზაციას ატარებენ იმ შემთხვევაში, თუ მასზე აღმოჩენილია მღრღნელი ან არის ეჭვი მათ არსებობაზე;

8. სატრანსპორტო საშუალებების დერატიზაცია სათავსების დანიშნულების მიხედვით წარმოებს მომწამვლელი გამანადგურებელით, შხამების დაყრით, მოფრქვევითა და მექანიკური გამანადგურებლებით.



9. მდრღნელების დაჭერას ახორციელებენ ხაფანგებით. მათ ათავსებენ ერთმანეთისაგან 1,5-2 მ-ის დაშორებით საბარგულის საბუფეტე განყოფილებებში, ასევე სატრანსპორტო საშუალებების სალონში და სხვ. ყოველდღიურად ხაფანგებს ამოწმებენ და უკეთებენ ახალ სატყუარას. იმ შემთხვევაში, თუ მდრღნელები ხაფანგში არ მოხვდნენ, სამი დღის განმავლობაში დერატიზაციას თვლიან დამთავრებულად და სატრანსპორტო საშუალებას ეძლევა ექსპლუატაციის ნებართვა.

10. სატრანსპორტო საშუალებებში დერატიზაციის ჩატარების შემთხვევაში გაიცემა მოწმობა დერატიზაციის შესახებ.

11. დაჭერილი მდრღნელები იგზავნება გამოკვლევისათვის.

მუხლი 8. უსაფრთხოების ზომები სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობის დროს

1. პირებს, რომლებიც ატარებენ სადეზინფექციო სამუშაოებს, წინასწარ უტარებენ სპეციალურ ინსტრუქტაჟს ტექნიკის უსაფრთხოების წესების დაცვის, სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობისა და შემთხვევითი მოწამლვებისას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

2. დეზინფექციისა და დეზინსექციის სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, როგორცაა სპეცტანსაცმელი (ხალათი ან კომბინეზონი, თავშალი, რეზინის ჩექმები, დამცავი სათვალე) და რესპირატორები. თხევად და ფხვნილოვან აეროზოლებთან მუშაობისას გამოიყენება რესპირატორები ან მარლა-ბამბისაგან დამზადებული ნიღაბი და რეზინის ხელთათმანები.

3. პრეპარატების დაფასობასა და სამუშაო ხსნარების მომზადებას აწარმოებენ წინასწარ მომზადებულ სპეციალურ სათავსებში ან სუფთა ჰაერზე ღია ადგილას.

4. სადეზინფექციო საშუალებებისა და ინსექტიციდების შენახვა წარმოებს სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. თხევადი საშუალებები ინახება ბოთლებში მჭიდროდ დახურული საცობებით, ბნელ და გრილ ადგილებში, ფხვნილისმაგვარი კი – პოლიეთილენის ან 4-ფენოვან კრაფტტომრებში, ხსნარები – კასრებში ან სხვა სახის მყარად დალუქულ ტარაში, რომლებიც არ შედიან პრეპარატთან რეაქციაში.

5. იკრძალება ისეთი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება, რომლებიც არ არის ნებადართული ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ და რომელთაც ეტიკეტზე არა აქვთ მითითებული პრეპარატის დასახელება, დამზადების თარიღი და შემადგენლობაში აქტიური ნივთიერების რაოდენობა.

6. სატრანსპორტო საშუალებებში სადეზინფექციო სამუშაოების შესრულებისას იკრძალება: თამბაქოს მოწევა, სითხისა და საკვების მიღება.

7. განადგურებული ან ხაფანგების მეშვეობით დაჭერილი მდრღნელები თავსდება მუშაობის ტომრებში ან ლითონის მჭიდროდ დახურულ ყუთებში. მუშაობა წარმოებს ხელთათმანებით, გამოიყენებენ კორცანგებს.

8. სპეცტანსაცმელს ინახავენ სპეციალურ კარადაში. მას რეცხავენ არანაკლებ კვირაში ერთხელ.

რეზინის ხელთათმანები და ჩექმები ირეცხება თბილ, საპნიან წყალში, ხოლო რესპირატორები ყოველი ხმარების შემდეგ იწმინდება ბამბის ტამპონებით, რომელიც გაჟღენთილია საჭმლის სოდის წყალხსნარში.

მუხლი 9. ტრანსპორტის სადეზინფექციოდ გამოყენებული ხსნარები და ტექნიკური საშუალებები

1. სადეზინფექციო ხსნარი ისეთი შედეგნილობის უნდა იყოს, რომ რადიოაქტიური ნივთიერება გაიხსნას მასში და არ მისცეს საშუალება კვლავ დაილექოს გასაწმენდ ობიექტზე. ამიტომ იგი უნდა შეიცავდეს ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, მაგალითად როგორცაა: იონოგენური ნივთიერებები – OII-7, OII -10, ანიონაქტიური პრეპარატები – სულფანოლი, „ნოვოსტი“, აგრეთვე გამხსნელებს – მჟავებს (მარილმჟავა, აზოტმჟავა, მჟაუნმჟავა, ლიმონმჟავა და სხვ.), ტუტეებს, კომპლექსწარმომქმნელ ნაერთებს – ტრილონ-ბ, პოლიფოსფატებსა და სხვ. რეკომენდებულია პეტროვის (ნავთის) კონტაქტი, რომელიც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებაცაა და კარგი გამხსნელიც (გოგირდმჟავას შემცველობის გამო). ტექნიკისა და ზედაპირების სადეზინფექციოდ გამოიყენება აგრეთვე ფხვნილების CΦ-2-ის 15%-იანი და CΦ -2Y-ს 0,075%-იანი ხსნარები.

2. დაბინძურებული ზედაპირების სადეზინფექციოდ მოწოდებულია სხვადასხვა სახის სტანდარტული ხსნარები:



ა) №1 ხსნარი – პეტროვის კონტაქტის 30%-იანი ხსნარი;

ბ) №2 ხსნარი – პეტროვის კონტაქტის 300 მლ, 10 გ - მჟაუნმჟავა, 50 გ – სუფრის მარილი, წყალი – 1ლ-მდე;

გ) №3 ხსნარი – „ნოვოსტი“ – 10 გ (ან OII -7 3 გ), 40გ 100%-იანი მარილმჟავა (ან 1,18 ხვედრითი წონის 100 მლ), 4 გ ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატი, წყალი 1ლ-მდე;

დ) №4 ხსნარი – მანგანუმჟავა კალიუმი – 40 გ, გოგირდმჟავა – 5გ, წყალი 1 ლ-მდე (ამ ხსნარით 10-15 წუთის დამუშავების შემდეგ ზედაპირი დამატებით უნდა გაიწმინდოს №2 ხსნარით);

ე) №5 ხსნარი – 10 გ ნატრიუმის ტუტე, 10 გ ტრილონ-ბ, 1 ლ-მდე წყალი.

3. ხელსაწყოების სადეზაქტივაციოდ გამოყენებულია:

ა) №6 ხსნარი – ლიმონმჟავას ან მჟაუნმჟავას 1-2%-იანი ხსნარი, ან

ბ) №7 ხსნარი – ნატრიუმსულფატის ან ჰექსამეტაფოსფატის 1-2% ხსნარები.

4. თუ აღნიშნული სტანდარტული შედგენილობის ხსნარები არ არის, შეიძლება ამ ხსნარების წყალში გახსნილი ზოგიერთი შემადგენელი ნაწილის – ფხვნილი „ნოვოსტი“, OII -7, OII -10, ტრილონ-ბ, სამნატრიუმიანი ფოსფატი და სხვ. ცალკე გამოყენება.

5. თუ დაბინძურების ხარისხი აღწევს $3,7 \cdot 10^{10}$ ბკ/მ² (1კიური/მ²), მაშინ ტრანსპორტისა და სხვა ტექნიკის დეზაქტივაციისათვის გამოიყენება ხსნარი, რომელიც შეიცავს OII -7-ის 0,3% ემულსიისა და კალცინირებული სოდის 2% ხსნარს (ან ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატის 0,7% ხსნარს).

6. თუ დაბინძურების ხარისხი აღწევს $7,4 \cdot 10^{10}$ ბკ/მ² (2კიური/მ²), მაშინ ზემოაღნიშნულ ხსნარს უნდა დაემატოს მარილმჟავას 2%-იანი ხსნარი, აგრეთვე კოროზიის საწინააღმდეგო ნივთიერებაც – ПБ-5-ის 0,2%-იანი ხსნარი.

7. აღნიშნული ხსნარები გამოიყენება ზაფხულის პერიოდში. ზამთრის პირობებში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი შემადგენლობის ხსნარები: OII-7, 0,3%-იანი ემულგირებული წყალხსნარი, მარილმჟავას 2%-იანი ხსნარი, კოროზიის ინჰიბიტორის ПБ-5-ის 0,1%-იანი ხსნარი, კალციუმის ქლორიდი (ან მაგნიუმის ქლორიდი), აგრეთვე СФ-2У-ს 0,075%-იანი ხსნარი.

8. დეზაქტივაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანქანები AT3-3-157, АЦМ-150. უმჯობესია სხვადასხვა ტიპის ავტომატური ავტოსამრეცხაოები.

მუხლი 10. დეზაქტივაციის საშუალებები

1. დეზაქტივაციისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

ა) რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამორეცხვა სადეზაქტივაციო ხსნარებით, წყლით, გამხსნელებით, დაბინძურებული ზედაპირების ერთდროული დამუშავებით, სადეზაქტივაციო მანქანების, კომპლექტების, მოწყობილობების ჯაგრისებით;

ბ) რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამორეცხვა წნევის ქვეშ მყოფი წყლის ჰავლით;

გ) დაბინძურებული ზედაპირების ჩამოწმენდა სადეზაქტივაციო ხსნარში, გამხსნელებში, წყალში დასველებული ძენძის ტამპონებით;

დ) რადიოაქტიური მტვრის ჩამობერტყვა ცოცხებით, ჯაგრისებით, ძენძითა და სხვა საშუალებებით;

ე) რადიოაქტიური მტვრის მოცილება მტვერსასრუტით.

2. ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია სადეზაქტივაციოდ განკუთვნილი ტრანსპორტის სახეობაზე, მის გაბარიტებზე, დაბინძურების ხარისხზე, ხელთ არსებულ ტექნიკურ საშუალებებზე, წელიწადის დროზე.

3. დეზაქტივაციის დაწყებამდე საჭიროა ტრანსპორტის ზედაპირიდან ჩამოიფხიკოს ტალახი და



შესჯელებული საპოხი ნივთიერება.

მუხლი 11. დეზაქტივაცია სადეზაქტივაციო ხსნარებით, წყლით, გამხსნელებით, ჯაგრისების ერთდროული გამოყენებით

1. რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტის ზედაპირიდან მოშორება სადეზაქტივაციო ხსნარებით, წყლითა და გამხსნელებით, ჯაგრისების ერთდროული გამოყენებით მეტად ეფექტურია და იგი საშუალებას იძლევა 50-80-ჯერ შემცირდეს დაბინძურება.
2. რადიოაქტიური ნივთიერების მოშორება ხდება ბრანდსპოიტის ჯაგრისის მეშვეობით ერთდროულად ტრანსპორტის ზედაპირზე მოწოდებული სადეზაქტივაციო ხსნარის, წყლის ან გამხსნელის საშუალებით.
3. დამუშავება იწყება ობიექტის ზემო ნაწილებიდან და თანდათან გადადის ქვემო ნაწილებზე.
4. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დამუშავდეს ჰორიზონტალური და დახრილი ზედაპირები, კიდეები, ნაპრალები, აგრეთვე ის ადგილები, რომლებთანაც კონტაქტი აქვთ ტრანსპორტის მომსახურე პერსონალსა და მგზავრებს.
5. სადეზაქტივაციო ხსნარი დასამუშავებელ ზედაპირს შეიძლება მიეწოდოს:
 - ა) ჰაერ-ემულსიური მეთოდით. ხსნარი მიეწოდება მისი ჰაერთან ექვეციით (HDK- 1);
 - ბ) ხსნარის გაფრქვევით შეკუმშული ჰაერის წნევის მეშვეობით ან საქაჩავებით (PДП-4Б;ДК-1; ДК-2; ДК-3; АПС-12У(Д); АДМ-48Д; ДКБ; АДДК).

მუხლი 12. რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება წნევის ქვეშე მყოფი წყლის ჭავლით

1. რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამორეცხვა წნევის ქვეშე მყოფი წყლის ჭავლით მეტად ეფექტურია. ამისათვის გამოიყენება მოტოპომპები (დანადგარი АПС, აგრეთვე სახანძრო მანქანები, ზეთისა და ბენზინგამმართველები, სხვადასხვა სისტემის მექანიკური და ხელის ტუმბოები).
2. რადიოაქტიური მტვრის ჩამორეცხვისას ტრანსპორტის მთელი კორპუსი ძლიერი ჭავლით თანდათან უნდა ჩამორეცხოს ზემოდან ქვემოთ. ჭავლი დასამუშავებელ ზედაპირთან მიმართული უნდა იყოს კუთხით, რათა წყალი ქვევით ჩამოიღვაროს და არ მოხდეს მისი გვერდებზე გაშხეფება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიდეებსა და ნაპრალებს. ამგვარი დამუშავების შემდეგ ობიექტის დაბინძურების ხარისხი 10-20-ჯერ მცირდება.
3. დეზაქტივაციის მეთოდი – რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება წნევის ქვეშე მყოფი წყლის ჭავლით – საშუალებას იძლევა დეზაქტივაცია ჩატარდეს ხანმოკლე პერიოდში, სწრაფად, მაგრამ მისი განხორციელებისათვის საჭიროა ახლო ს განთავსებული იყოს მსხვილი წყალმომარაგების წყარო (მდინარე, ტბა, გუბურა) ან წყლის დიდი სათავსები.
4. აღნიშნული მეთოდის ნაკლია ნახმარი წყლების გაუვნებლობის პრობლემა, რადგან ამ დროს ძალზე დიდი მოცულობით წარმოიქმნება რადიოაქტიური ნახმარი წყლები.

მუხლი 13. რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება ზედაპირებიდან სადეზაქტივაციო ხსნარით, წყლით ან გამხსნელებით დასველებული ძენძის ტამპონებით

1. რადიოაქტიური ნივთიერებების მოშორება ზედაპირიდან სადეზაქტივაციო ხსნარით, წყლით ან გამხსნელებით დასველებული ტამპონებით, ძირითადად წარმოებს სატრანსპორტო საშუალებების შიდა ზედაპირებისა და შიდა მოწყობილობების (სკამი, მაგიდა, ხელსაწყოები, აპარატურა და სხვ.) დეზაქტივაციისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსხვილი ობიექტების დეზაქტივაციისათვისაც.
2. დეზაქტივაციის ამ მეთოდის გამოყენებისას ამაზადებენ ტამპონებს (ჩალიჩებს). ამაზანაში ან რომელიმე სხვა სათავსოში ჩაასხამენ სადეზაქტივაციო ხსნარს. ამ ხსნარში დასველებული ტამპონებით ზევიდან ქვევით წმენდენ დაბინძურებულ ზედაპირებს, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც დეტალები ერთმანეთს უერთდება და კიდეებში. გარეთა ზედაპირები იწმინდება კარგად დასველებული ტამპონებით, ხოლო შიდა ზედაპირები – ნაწილობრივ გაწურული ტამპონებით. ტამპონები უნდა ტრიალდებოდეს დაბინძურებული ზედაპირიდან სუფთა მხრით, ხოლო, როცა მთლიანად გაბინძურდება, იგი უნდა ჩაიმარხოს სპეციალურად ამისათვის გათხრილ ორმოში.



3. დაბინძურებული ტამპონების ჩადება სადეზაქტივაციო ხსნარში დაუშვებელია.

4. სრული დეზაქტივაციის მისაღწევად ასეთი სახის გაწმენდა უნდა გამოორდეს ორ-სამჯერ. ყოველი გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა გასუფთავდეს მშრალი ტამპონით.

5. ძენძის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა მასალა, მათ შორის თივა, ჩალა.

6. დეზაქტივაციისათვის საჭირო ხსნარების, მასალებისა და დროის რაოდენობა მოყვანილია დანართი 1-ის 1-ლ ცხრილში.

მუხლი 14. რადიოაქტიური მტვრის ჩამობერტყვა ცოცხებით, ჯაგრისებით, ძენძითა და სხვა მასალებით

1. რადიოაქტიური მტვრის ჩამობერტყვა ცოცხებით, ჯაგრისებით, ძენძითა და სხვა საშუალებებით ტარდება ნაწილობრივი დეზაქტივაციისას. ამ დროს ზედაპირების რადიონუკლიდური დაბინძურება მცირდება 2-4 -ჯერ.

2. დაბინძურებული უბნის გასუფთავებისას ჩამობერტყვას იწყებენ იმ ზედაპირიდან, რომელიც ქარპირის მხრიდანაა, ანუ იმ ზედაპირიდან, რომელიც ქარის მოქმედებისკენაა მიმართული და გადადის იმ ზედაპირისკენ, რომელიც ქარზურგისკენაა მიმართული, ანუ მყუდრო ადგილია. მტვრის მოშორების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაპრალების, კიდეების, სხვადასხვა ჩაღრმავებული უბნების გასუფთავებას.

მუხლი 15. რადიოაქტიური მტვრის მოცილება მტვერსასრუტით

1. რადიოაქტიური მტვრის მოშორება მტვერსასრუტით შეიძლება განხორცილდეს კომპლექტით ДК-4-ით. მტვრის შესრუტვა ხდება ერთდროულად ამავე ზედაპირის ჯაგრისებით ინტენსიურ გაწმენდასთან ერთად.

2. ზედაპირების დამუშავება ხდება ზემოდან ქვემოთ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კიდეებს, ხვრელებსა და აგრეთვე იმ ნაწილებს, რომლებთანაც ხშირ კონტაქტში არიან მომსახურე პერსონალი და მგზავრები. იმ ადგილების დამუშავება, სადაც ჯაგრისები არ უდგება, მტვრის შესრუტვა უნდა მოხდეს ბრანდსპოიტის დაბოლოებით (ჯაგრისის გარეშე).

3. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მშრალი ზედაპირების გასაწმენდად (რომლებიც არ არიან დაბინძურებული ზეთიანი ნივთიერებებით). ობიექტის დაბინძურება ასეთი გაწმენდის შედეგად მცირდება 5-10-ჯერ.

მუხლი 16. დეზაქტივაცია ზამთრის პირობებში

1. ზამთრის პირობებში დეზაქტივაცია რამდენადმე გართულებულია სხვადასხვა მკვრივი დაბინძურებული ნაწილაკების ზედაპირებზე მიკრობის გამო – გასქელებული საპოხი საშუალებები, დაბინძურებული მყარი ნაწილაკები, ტალახი, ყინული და სხვა. მათი მოშორება დაბალი ტემპერატურის პირობებში გარკვეულ სიმძნელებთანაა დაკავშირებული. გართულებულია სადეზაქტივაციო წყალხსნარების გამოყენებაც.

2. ზამთრის პირობებში დეზაქტივაციისას, უპირველეს ყოვლისა, ზედაპირებს უნდა მოშორდეს გასქელებული და მიმხმარი ნაწილაკები ყინულის საფხეკებით, ცხელი წყლით, ორთქლით (АГВ-3М, ДДА-53 და სხვ.).

3. ზამთრის პირობებში დეზაქტივაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს СФ-2-ის ფხვნილის 0,3%-იანი ხსნარი 20-25%-იანი ნიშადურის წყალში ან გამხსნელებში (ბენზინი, ნავთი, დიზელის საწვავი, დიქლორეთანი) ან СФ-2У-ს 0,075 %-იანი ხსნარი.

4. ზამთრის პირობებში დასაშვებია ჩატარდეს ორმაგი, სამმაგი ჩამოწმენდა თოვლის მეშვეობით. დაბინძურებული თოვლი შემდეგში უნდა მოსცილდეს ტამპონებით, ძენძით, ხოლო ეს უკანასკნელი სათანადოდ დაიმარხოს. აღნიშნული მეთოდი უბრალო და ადვილად შესასრულებელია.

მუხლი 17. დეზაქტივაციის სისრულის განსაზღვრა

1. დეზაქტივაციის სისრულე განისაზღვრება დამუშავების დაწესებული წესებისა და მეთოდების ზუსტი შესრულებით, შესაბამისი ხსნარებისა და მათი საჭირო რაოდენობის გამოყენებით.



2. დეზაქტივაციის სისრულის დადგენა ხდება დოზიმეტრული ხელსაწყოებით: ДП-5, ДП-5А, ДП-12 და სხვ.

3. სატრანსპორტო საშუალებების ზედაპირების რადიოაქტიური დაბინძურების დონეები არ უნდა აღემატებოდეს დანართი 1-ის მე-2 ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს. თუ ზედაპირების დაბინძურება არ აღემატება დასაშვებ დონეებს, დეზაქტივაცია ჩაითვლება დამთავრებულად, თუ აღემატება, მაშინ დეზაქტივაციის პროცესი უნდა განმეორდეს.

მუხლი 18. დეზაქტივაციის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა

1. დეზაქტივაციის ჩატარებისას აუცილებელია დაცვითი ღონისძიებების გატარება და უსაფრთხოების წესების მკაცრად დაცვა, რათა არ მოხდეს ამ სამუშაოების ჩამტარებელი პირების დაბინძურება რადიოაქტიური ნივთიერებებით. სადეზაქტივაციო სამუშაოებზე დაკავებული პირები მიეკუთვნებიან პერსონალის „ბ“ ჯგუფს, რის შესაბამისადაც განისაზღვრება მათი დასახივების ძირითადი დოზური ზღვრები (რუნ – 2000, ცხრილი 5.1).

2. ყველა სადეზაქტივაციო სამუშაო ტარდება ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების გამოყენებით. პერსონალი სამუშაოს ჩატარებისას უნდა აღიჭურვოს აირწინაღით, დამცველი ლაბადით, ხელთათმანებითა და წინდებით.

3. სადეზაქტივაციო სამუშაოების ჩასატარებლად დაცულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) დაცვითი საშუალებების როგორც ჩაცმა, ასევე გახდა უნდა ხდებოდეს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

ბ) მუდმივად უნდა მოწმდებოდეს ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების დაუზიანებლობა. დაზიანებული (დარღვეული, დახეული და სხვ.) ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია;

გ) დაცულ უნდა იქნეს ინდივიდუალურ დაცვით საშუალებებში ყოფნის დადგენილი დრო;

დ) დაცულ უნდა იქნეს სადეზაქტივაციო საშუალებებთან ფრთხილად მოპყრობა. არ შეიძლება მათი დაბინძურებულ ზედაპირებზე დაწყოება;

ე) დეზაქტივაციის დროს გამოყენებული მასალები უნდა განიხილებოდეს, როგორც რადიოაქტიური ნარჩენი და მათთან მოპყრობა განხორციელდეს შესაბამისი წესების დაცვით.

ვ) გამორიცხული უნდა იქნეს კონტაქტი (დაჯდომა, მიყუდება და სხვ.) დაბინძურებულ ზედაპირებთან;

ზ) ნივთი გამოყენებამდე წინასწარ დეზაქტივირებულ უნდა იქნეს;

თ) დაბინძურებული ხელთათმანებით არ შეიძლება სხეულის ღია ნაწილებთან შეხება;

ი) დეზაქტივაცია ისე უნდა ჩატარდეს, რომ შხეფები არ მოხვდეს დეზაქტივაციის ჩამტარებელ პერსონალს;

კ) ორგანიზებულ უნდა იქნეს სადეზაქტივაციო სამუშაოებში ჩართულ პირთა დოზიმეტრული კონტროლი;

ლ) პერიოდულად უნდა მოხდეს სადეზაქტივაციოდ გამოყენებული მოწყობილობებისა და დანადგარების დოზიმეტრული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი დეზაქტივაცია;

მ) უნდა წარმოებდეს სამუშაო ტერიტორიის (მოედნის) სისტემატური დოზიმეტრული კონტროლი და ზაფხულობით პერიოდულად მოხდეს მისი გარეცხვა წყლით;

ნ) გამოყენებული სითხეები (მათში რადიონუკლიდების შემცველობაზე დამოკიდებულებით) გამტარი არხების მეშვეობით უნდა ჩაედინებოდეს სპეციალურ კანალიზაციაში, რომელიც განმხობულია საერთო კანალიზაციის სისტემიდან;

ო) ყურადღების ქვეშ უნდა იყოს წყლის გამტარი არხები და მშთანთქმელი ჭები, რათა არ მოხდეს მათი გადავსება;

პ) 4. ნაწილობრივი დეზაქტივაციის ჩატარებისას საჭიროა უსაფრთხოების დაცვა. დაუშვებელია იმ



ადგილებთან შეხება, რომლებსაც არ ჩაუტარდათ დეზაქტივაცია. განსაკუთრებით სიფრთხილეს საჭირო ხის, ტყავის, რეზინის ნაკეთობებთან, ვინაიდან რადიონუკლიდები შესაძლებელია მათ სიღრმეში იყოს ჩასული და მათ დეზაქტივაცია ვერ განიცადონ.

5. დეზაქტივაციის დამთავრების შემდეგ პერსონალმა უნდა გაიაროს დოზიმეტრული და სანიტარიული დამუშავება. სანგამტარის მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს სანქდან 2.6.1. 002-02-ით აღნიშნულ მოთხოვნებს.

6. სანგამტარს უნდა გააჩნდეს პირობით „ჭუჭყიანი“ და პირობით „სუფთა“ ზონები. „ჭუჭყიანი“ ზონაში პერსონალი იხდის ინდივიდუალურ დაცვით საშუალებებს და გაივლის სანგამტარს. „სუფთა“ ზონაში ხდება მისი განმეორებითი დოზიმეტრული კონტროლი და სუფთა ტანსაცმლით აღჭურვა.

7. დაბინძურებული ინდივიდუალური დაცვითი საშუალებები უნდა გაიგზავნოს დეზაქტივაციისათვის.

მუხლი 19. ხელებისა და სხეულის ღია ნაწილების დეზაქტივაცია

1. სატრანსპორტო საშუალებების დეზაქტივაციისას ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების არაწესიერი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ხელებისა და სხეულის ღია ნაწილების, თვალების დაბინძურებას, რაც გადაუდებლად მოითხოვს მათ დეზაქტივაციას.

2. ხელების დეზაქტივაციის ხარისხი დამოკიდებულია დაბინძურების ხარისხზე. თუ დაბინძურების ხარისხი ზღვრულად დასაშვებ დონეს 5-10-ჯერ მეტად არ აღემატება, მაშინ ხელების დაბანა წყლითა და სარეცხის საპნით საკმაოდ ეფექტურია. თუ დაბინძურების ხარისხი მეტია და თანაც დაბინძურება დიდხანს გრძელდება, რის შედეგადაც რადიოაქტიური ნივთიერება არა მარტო მექანიკურად არსებობს კანზე, არამედ შეჭრილია ღრმა ფენებში და დაფიქსირებულია უჯრედებში (სტრუქტურული დაბინძურება), მაშინ გამდინარე წყლითა და სარეცხის საპნით დაბანასთან ერთად საჭიროა სპეციალური სადეზაქტივაციო ხსნარების გამოყენება.

3. სადეზაქტივაციო ხსნარების შედგენილობა ისეთი უნდა იყოს, რომ მათმა ხშირმა ხმარებამ არ გამოიწვიოს კანის გაღიზიანება, ვინაიდან დაზიანებული კანიდან ორგანიზმში რადიოაქტიური ნივთიერების შეღწევის (პერკუტანული შეწოვა) საშიშროება უფრო იზრდება.

4. კანის დეზაქტივაციისათვის შეიძლება რადიოაქტიურობით დაბინძურებული წყლის გამოყენებაც, თუ სხვა რაიმე საშუალება (სუფთა წყალი, სადეზაქტივაციო ხსნარი) არ არის. დადგენილია, რომ ხელებზე არსებული კუთრი აქტიურობა (ბკ/სმ²) დაბინძურებული წყლის კუთრი აქტიურობის ტოლიც რომ იყოს (ბკ/მლ), 90%-მდე მაინც ასუფთავებს მას.

5. კანის დეზაქტივაცია, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს გამდინარე წყლით ხელის საპნითა და ჯაგრისის საშუალებით. კარგია დასაბანად აგრეთვე სარეცხი ფხვნილი – „ნოვოსტი“ ან „ერა“, 3%-იანი ლიმონის მჟავა. თუ დოზიმეტრული კონტროლი უჩვენებს, რომ ასეთი დამუშავება საკმარისი არ არის, მაშინ იწყებენ კანის დამუშავებას სადეზაქტივაციო საშუალებებით, მაგრამ მათი გამოყენება მოითხოვს მკაცრ საექიმო კონტროლს კანის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად.

6. კარგ სადეზაქტივაციო საშუალებად ითვლება ხსნარი, რომელიც შეიცავს კომპლექსწარმომქმნელ ნივთიერებას – 5 გ ედტა – (ტრილონ-ბ), 5 გ ნატრიუმის ბიოსულფატი, 5გ სახამებელი, 35 გ ნატრიუმის კარბონატი (უწყლო) 1ლ წყალში. ხმარების წინ ხსნარი უნდა შეინჯღრეს. ამ ხსნარით კარგად უნდა დაიბანონ ხელები ჯაგრისით, კანი მოიბანონ დოლბანდის ან ბამბის ტამპონებით, გადაივლონ სუფთა წყალი. ასეთი პროცედურა შეიძლება განმეორდეს 2-3-ჯერ.

7. შეიძლება აგრეთვე კალიუმის პერმანგანატის 4%-იანი ხსნარის გამოყენებაც. ამ ხსნარით დამუშავების დროს კანზე შეიძლება ყავისფერი ლაქები გაჩნდეს, რომელთა მოშორება ხდება ნატრიუმის ბიოსულფატის ახლად დამზადებული 5%-იანი ხსნარით.

8. ზოგ შემთხვევაში, თუ ცნობილია ნაერთი, რომლითაც მოხდა კანის დაბინძურება, ხელების დეზაქტივაციის მიზნით შესაძლებელია ყველაზე ოპტიმალური სადეზაქტივაციო საშუალებების შერჩევა („ზაშჩიტა“, ტრილონ-ბ, „ნოვოსტი“, პრეპარატი 116 და სხვ.).

9. ზემოაღნიშნული სადეზაქტივაციო საპნის ფხვნილების გამოყენება ხდება შემდეგნაირად: საპნის ფხვნილი უნდა დაიყაროს ხელის გულზე 1 ჩაის კოვზის ოდენობით, დაემატოს მცირე რაოდენობის წყალი და კარგად აქაფდეს 1 წუთს. შემდეგ ეს ქაფი უნდა ჩამოიბანოს გამდინარე წყლით 1 წუთის განმავლობაში. განმეორებითი დაბანის შემთხვევაში ჩამოიბანა უნდა მოხდეს 2 წუთის განმავლობაში.



10. თუ განმეორებითმა დეზაქტივაციამ შედეგი მაინც არ მოგვცა, უმჯობესია კანის შემდგომი დამუშავებისაგან თავი შევიკავოთ კანის ძლიერი გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით და რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ გავიმეოროთ დეზაქტივაცია.

11. თვალის არეებისა და თვით თვალეზის დაზინძურების შემთხვევაში საჭიროა ფრთხილად მათი ჩამოხანვა სოდის 3%-იანი ხსნარით, რათა რადიოაქტიურობა არ გადავიდეს სახის სხვა ნაწილებზე.

12. სახის კანისა და თმების დეზაქტივაციისათვის წყლისა და საპნის გარდა, შეიძლება შამპუნის გამოყენება, რომელსაც უნდა დაემატოს 3%-იანი ლიმონის მჟავა, ზოგჯერ კი კომპლექსწარმომქმნელი ნაერთი. კბილები უნდა გაიწმინდოს ჩვეულებრივი პასტიტა და ჯაგრისით, შეიძლება 3%-იანი ლიმონმჟავას ხსნარის გამოყენებაც. პირის ღრუს დეზაქტივაციისათვის იხმარება წყალბადის ზეჟანგის 3,6%-იანი ხსნარი და ცხვირის ღრუს გამოსარეცხად – ფიზიოლოგიური ხსნარი.

14. მცირე მოცულობის კანის დეზაქტივაცია შეიძლება ლეიკოპლასტირითაც. თუ ეს ადგილი თმითაა დაფარული, მაშინ ჯერ თმები უნდა მოვაშოროთ და შემდეგ დავაკრათ ლეიკოპლასტირი. ლეიკოპლასტირის მოშორების შემდეგ მას თან გაჰყვება რადიოაქტიურობა. ლეიკოპლასტირის დაკვრა შეიძლება რამდენჯერმე გავიმეოროთ.

14. დეზაქტივაციის დამთავრების შემდეგ კანი უნდა დაიფაროს რაიმე ინდიფერენტული მალამოთი (მაგალითად, ლანოლინის მალამო).

15. დეზაქტივაციის ეფექტურობის ხარისხი უნდა განისაზღვროს დანართი 1-ის მე-3 ცხრილის მეშვეობით, რომელშიც მოცემულია სამუშაო ზედაპირების, კანის, სპეცტანსაცმელის, პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რადიოაქტიური დაზინძურების დასაშვები მნიშვნელობები.

მუხლი 20. ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების დეზაქტივაცია, სამრეცხაოები

1. დეზაქტივაცია უნდა ჩატარდეს სპეციალურ სამრეცხაოებში, სადაც რეცხვის დროს გამოიყენება სადეზაქტივაციო ხსნარები იმის მიხედვით, თუ რა სახის ქსოვილია სადეზაქტივაციო. თუ გასასუფთავებელია პოლიმერული მასალისაგან დამზადებული ქსოვილი, გამოიყენება სულფიდის შემცველი მჟაუნმჟავას ხსნარი, ბამბის ქსოვილის (ან ტყავის) დეზაქტივაციისათვის იხმარება სარეცხი საპონი, ფხვნილები ან კომპლექსწარმომქმნელი ნაერთები.

2. სპეცტანსაცმელის დეზაქტივაცია უნდა ჩატარდეს სპეციალურ სამრეცხაოებში, სადაც დაზინძურებული ტანსაცმელი რადიოაქტიური დაზინძურების ხარისხის მიხედვით დოზიმეტრული მეთოდით უნდა დაახარისხონ და ამ მონაცემების საფუძველზე გარეცხონ ცალ-ცალკე. დახარისხება დაზინძურების ხარისხის გარდა, უნდა ჩატარონ თვით ტანსაცმლის ხასიათის მიხედვითაც (ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საცვლები და სხვ.), ვინაიდან მათი დეზაქტივაციის მეთოდები სხვადასხვაგვარია.

3. დამხარისხებელი განყოფილების გარდა, სამრეცხაოს უნდა ჰქონდეს სარეცხი, საშრობი და სუფთა ტანსაცმლის გაცემის განყოფილებები.

4. თუ სპეცტანსაცმლის დაზინძურების ხარისხი არ აღემატება დასაშვებ დონეს, მისი გარეცხვა შეიძლება ჩვეულებრივი სარეცხი მანქანით. თუ დაზინძურება ძლიერია, მაშინ საჭიროა CTM-50 ტიპის სარეცხი მანქანის გამოყენება. აკოვანი ტანსაცმელი უნდა გარეცხონ CTM/I ტიპის სარეცხ მანქანებში. ზოგჯერ, ერთობ ძლიერი დაზინძურების დროს, რეცხვის წინ, საჭიროა სპეცტანსაცმლის ან ფეხსაცმლის წინასწარი დაღობვა გარკვეული რაოდენობით აქტივობის მოსაცილებლად.

5. ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების დეზაქტივაციის მეთოდი დამოკიდებულია იმ მასალის ხასიათზე, რომლისგანაც ამზადებენ მას. მაგალითად, ბამბის ქსოვილები არაძლიერი დაზინძურების შემთხვევაში კარგად სუფთავდება ჩვეულებრივი გარეცხვით, ხოლო თუ დაზინძურება ძლიერია, გარეცხვა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის, აგრესიული ხსნარებით დამუშავება კი ქსოვილს შლის. დამუშავებას შედარებით უკეთ იტანს სინთეზური ქსოვილისაგან დამზადებული სპეცტანსაცმელი (ქლორინი, ლავსანი და სხვ.), განსაკუთრებით კარგად კი – აკოვანი სპეცტანსაცმელი (პოლივინილქლორიდის, პოლიეთილენის და სხვ.).

მუხლი 21. თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების (რადიოაქტიურიგამოყენებული სითხეების შეკრების, დროებით შენახვის, გაუვნებლობის, საერთო ან სპეციალურ საკანალიზაციო სისტემაში გაშვების ორგანიზება სანიტარიული მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით



1. სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე ხელების, სხეულის ღია ნაწილებისა და ინდივიდუალური დაცვითი საშუალებების დეზაქტივაციის ჩატარების შემდეგ მიღებული თხევადი და მყარი ნარჩენები საჭიროებენ სპეციალური ქმედებების ჩატარებას, რათა არ მოხდეს რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გავრცელება.

2. დეზაქტივაციის შედეგად წარმოქმნილი სითხეები მიეკუთვნებიან რადიოაქტიურ ნარჩენებს, თუ მათი აქტივობა აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის დონეს.

3. აკრძალულია თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების ჩაშვება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე კანალიზაციაში, წყალსატევებში, მდინარეებში, ჭებში, ჭაბურღილებში, სარწყავ და საფილტრავ ველზე, მიწისქვეშა სარწყავ სისტემასა და ნიადაგის ზედაპირზე, თუ მათი რადიაციული მახასიათებლები აღემატებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ დონეებს მათი გარემოში გასაშვებად

4. თხევადი რადიოაქტიური ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ 15 დღე-ღამეზე ნაკლები ნახევარდაშლის პერიოდის მქონე რადიონუკლიდებს, გროვდება განცალკევებით სხვა რადიოაქტიური ნარჩენებისაგან და ყოვნდება დროებით სპეციალურ სალექარში აქტივობის დონის შემცირებამდე არა უმეტეს 3.2. მითითებული მნიშვნელობისა. ასეთი დაყოვნების შემდეგ თხევადი ნარჩენები ჩაიშვება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო კანალიზაციაში.

5. სპეციალურ საკანალიზაციო სისტემაში რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველი ხსნარების ჩაშვებისას გათვალისწინებული მიმღებები (ნიჟარები, ტრაპები, არხები, ორმოები, მშთანთქმელი ჭები) დამზადებული, ან მათი ზედაპირები დაფარულ უნდა იქნეს მდგრადი, კოროზიასგამძლე მასალებისაგან და უნდა გამორიცხავდეს ხსნარების გაჟონვას, გადმოღვრას, გადმოშხეფვას.

დანართი

ცხრილი 1

დეზაქტივაციისათვის საჭირო სადეზაქტივაციო ხსნარების, მასალებისა და დროის საჭირო რაოდენობა

ტრანსპორტის დასახელება	დამუშავება წყლის ჭავლით		დამუშავება კომპლექსების, ბრანდსპოიტებით	სადეზაქტივაციო მოწყობილობების, ბრანდსპოიტებით	ხსნარების ჯაგრისიანი	სადეზაქტივაციო ხსნარში ან წყალში დასველებული ძენძით გასუფთავება		შიდა ზედაპირების გამსხნელი ან სადეზაქტივაციო ხსნარებით გასუფთავება	
	წყალი, დრო	დრო, წუთი				ხსნარი, ლ	დრო, წუთი	ხსნარი, ლ	ძენძი, კგ
ავტომანქანა*	400					3			
(მსუბუქი, საბარგო) თვითმფრინავი	10	50	20		7	5	40	3	1
ნავი	24	70	40		10		70	2-3	1
1000									
ორი	1000								
ბრანდსპოიტით	25	120	70					3-5	1-2
ოთხი	2500								
ბრანდსპოიტით	70	300	85					8-12	2-3

* დეზაქტივაციის დრო მოცემულია ერთი ბრანდსპოიტის გამოყენების შემთხვევაში



შენიშვნა: ისეთი სატრასპორტო საშუალებების დეზაქტივაციისას, რომელიც ამ ცხრილში არ არის მოცემული, ხარჯვა სადეზაქტივაციო ხსნარისა და გარე ზედაპირების დამუშავების დრო განსაზღვრულ უნდა იქნეს დასამუშავებელი ზედაპირის ფართისა (კვადრატულ მეტრებში) და ხსნარების ხარჯვის ნორმების მიხედვით:

საორენტაციოდ მიღებულია:

ძენძით გასუფთავება – 0,4-0,5 ლ/მ²;

ჯაგრისით გასუფთავება -2,5-3 ლ/მ²;

წყლის ჭავლით გასუფთავება – არანაკლებ 20 ლ/მ²;

ობიექტის ზედაპირის 1 მ²-ის დამუშავების დრო – ძენძით დამუშავებისას -1 წუთი, ჭავლით დამუშავებისას – 0,5 წუთი.

ცხრილი 2

სადეზაქტივაციო საშუალებების ზედაპირების რადიოაქტიური დაბინძურების დასაშვები დონეები, ნაწილაკის /(სმ²/წთ)

გაბინძურების ობიექტი	დაბინძურების სახეობა			
	აცილებადი (არაფიქსირებული)	ბეტა-აქტიური რადიონუკლიდები		არააცილებადი (ფიქსირებული)
	ალფა-აქტიური რადიონუკლიდები	ბეტა-აქტიური რადიონუკლიდები	ალფა-აქტიური რადიონუკლიდები	ბეტა-აქტიური რადიონუკლიდები
კონტეინერის დამცველი ტარის გარე ზედაპირი	არ არის დასაშვები	არ არის დასაშვები	არ რეგლამენტირდება	200
ვაგონ-კონტეინერის გარე ზედაპირი	არ არის დასაშვები	არ არის დასაშვები	არ რეგლამენტირდება	200
კონტეინერის დამცველი ტარის შიდა ზედაპირი	1,0	100	არ რეგლამენტირდება	2000
სატრასპორტო კონტეინერის გარე ზედაპირი	1,0	100	არ რეგლამენტირდება	2000

ცხრილი 3

სამუშაო ზედაპირების, კანის, სპეცტანსაცმელის, პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რადიოაქტიური დაბინძურების დასაშვები დონეები ნაწილაკი/(წუთი(სმ²))

დაბინძურებული ობიექტები	ალფა-აქტიური ნუკლიდები		ბეტა-აქტიური ნუკლიდები
	ცალკეული*	დანარჩენი	



დაუზიანებელი კანი, სპეცთეთრეული, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შიდა ზედაპირი	2	2	200
ძირითადი სპეცტანსაცმელი, დამატებითი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შიდა ზედაპირი, სპეცტანსაცმელის გარეთა ზედაპირი	5	20	2000
პერსონალის მუდმივსამყოფელი. შენობებისა და მასში განლაგებული დანადგარების ზედაპირები	50	20	2000
სანაწარმებში გასახდელი დამატებითი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეთა ზედაპირი	50	200	10000

* ცალკეულს მიეკუთვნება d-აქტიური ნუკლიდები, რომელთა საშუალო წლიური დასაშვები მოცულობითი აქტივობა სამუშაო შენობის ჰაერში <0,0003 ბკ/ლ.

შენიშვნა: კანის, სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისათვის ნორმირებულია ალფა-აქტიური რადიონუკლიდებით საერთო (ფიქსირებული და არაფიქსირებული) რადიოაქტიური დაბინძურება. ყველა სხვა შემთხვევაში ნორმირდება არაფიქსირებული დაბინძურება (კანის დაბინძურების ფართი არ უნდა აღემატებოდეს 300 სმ²).

